# შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"

## დადგენილება №009621

## გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

3 აგვისტო 2026 წ. ქ. ფოთი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): დადგენილების გამოტანაზე უფლებამოსილი პირი - შპს „სოკარ ჯორჯია გაზის" სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის მთავარი იურისტი ნინო ჯიშკარიანი

2. საქმის განხილვის თარიღი: 03.08.2026 წ.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე: ფიზიკური პირი თეიმურაზ ცქიტიშვილი პ/ნ 42001030862; აბონენტის ნომერი 1104073112 ; ქ. ფოთი, ილია ჭავჭავაძის 109; ტელ.: 551172626.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზის" უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახილველად გადმომეცა თეიმურაზ ცქიტიშვილის, როგორც ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის მიმართ შედგენილი ადმინიტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0099621 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე, რომლის თანახმად, ზემოთაღნიშნულ მისამართზე არსებული ბუნებრივი აირის მრიცხველის ამთვლელ მექანიზმს ქვედა მხრიდან აღენიშნებოდა ნახვრეტი. აღნიშნულის გამო მრიცხველი მოიხსნა, დაილუქა და გაიგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ტრასოლოგიური გამოკვლევის ჩასატარებლად. საქმეზე თანდართულია ფოტომასალა, აღრიცხვის კვანძის დათვალიერების აქტი, მრიცხველის შეცვლის აქტი, მოხსენებითი ბარათი, ექსპერტიზის დასკვნა.

ოქმის შემდგენის განმარტებით 2026 წლის 8 მარტს ფოთის სერვისცენტრის საავარიო სამსახურის ოსტატმა კონსტანტინე თავაძემ დააფიქსირა, რომ ქ. ფოთში ილია ჭავჭავაძის 109-ში დამონტაჟებული მრიცხველი იყო დაზიანებული, კერძოდ, ამთვლელი მექანიზმი ქვემოდან იყო გახვრეტილი. აბონენტის თანდასწრებით მოიხსნა მრიცხველი, დაილუქა და გაიგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის #002949026 დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევად წარმოდგენილი Elster BK-G 4CT მოდელის,

№08220437 გაზის მრიცხველის (ლუქი N SGG 2787010), მთვლელი მექანიზმის დამცავი ხუფი დაზიანებულია. დარღვეულია მისი მთლიანობა და მასზე, ქვედა ჰორიზონტალურ ფართზე შეღწევისათვის დამახასიათებელი, დაზიანებებია-მომრგვალო გამჭოლი ჩანახვრეტების სახით. რომელთა გასწვრივ, მთვლელი მექანიზმის ჩარჩოზე და ბოლო გორგოლაჭზე, გარეშე საგნის მექანიკური ზემოქმედების კვლებია-ჩანაჩხვლეტების და ნაფხაჭნების სახით. ამასთანავე, მთვლელი მექანიზმის ბოლო გორგოლაჭზე, მოვერცხლისფრო ლითონისმაგვარი მასალის გარეშე საგნების არსებობაც ფიქსირდება-სავარაუდოდ ნემსის ნატეხების სახით.

აღნიშნულის საფუძველზე, შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი #009621 და სხდომა დაინიშნა 3 აგვისტოს. სხდომაზე არ გამოცხადდა თეიმურაზ ცქიტიშვილი.

ზემოთაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის" თანამშრომელთა ახსნა განმარტებებისა და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, ვთვლით რომ ადგილი აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევადა კოდექსის 96[1] მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის პირველი ნაწილით, 200, 228[2]· 236-237, 260-ე და 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 და 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებებით და

## დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ **თეიმურაზ ცქიტიშვილი პ/ნ 42001030862** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად, სამართალდარღვევა გათვალისწინებული საქართველოს ასკ-ის 96[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დაედოს ადმინისტრაციული სახდელი გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს ფიზიკური პირის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმისა) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებული არ არიან) დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირისა და დაწესებულების

(რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად არიან რეგისტრირებული) დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით.

8. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის.: ქ. თბილისი, 0194, მიცკევიჩის ქ №19) .

**უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:**